№ 3-75

კერძო პირთათვის 15 კაპეიკი.
სახელმწიფო დაწესებულ. 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველ-ოდ
მესამე

მოამბე

შაბათი,
იანვრის 27.
1923 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 47 ეროვნულ კვირეული ორგანო. № 47

ბოდიში

ჟურნალ „მოამბე"-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ არაგის გაეგზავნება.

ყველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მოწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპობათ ჟურნალის გზავნა.**

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—30.000 მანეთი.

დოკუმენტების დაპარგვის შესახებ დასაგეჯდი განცხადებების ფასი 100.000 მანეთი.

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღია ყოველ დღის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.

ოფიციალური განყოფილება.

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დადგენილება № 26.

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტ.

ამიერკავკასიის რკინის გზათა წინააღმდეგ სარჩელია აღძვრის წესის შესახებ.

რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწორი გადაწყვეტა სასამართლოში ამიერკავკასიის რკინის გზათა სამოქალაქო საქმეებისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოსარჩელე, რომელიც ამიერკავკასიის რკინის გზათა სამართველოს წინააღმდეგ საჩელს აღძრავს, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს სარჩელის არზის ყველა დანართი დოკუმენტის შემოწმებული ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არზას მსვლელობა არ მიეცემა.

2. სარჩელს არზის და დანართების ასლს სასამართლო გაუგზავნის რკინის გზათა სამმართველოს, სასამართლოში გამოსაწვევ უწყებასთან ერთად; ამასთანავე, უკეთუ საჩელი სიტყვიერად იქნა შეტანილი, სამმართველოს გაუგზავნება სასამართლოში შედგენილი ოქმის ასლი.

3. რკინის გზის საქმის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების ან იმ დადგენილების ასლს, რომელიც ცალკე უნდა იქნის განსაჩივრებული, სახალხო სასამართლო გაგზავნის რკინის გზათა სამმართველოს, რომელმაც, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს ამ ასლის მიღების დრო.

4. გადწყვეტილების ან დადგენილების განსაჩივრებს ვადა რკინის გზის სამართველოსათვის დაიწყება გადწყვეტილების ან დადგენილების ასლის მიღების დღიდან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქ. საბჭ ცენტრ. აღმ ს.
კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. დეკემ. 20. ტფილისი — სასახლე.

√ დადგენილება № 27. √

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტ.

მიწის კანონთა დარღვევის გამო ხისლის სამართლია წესით პასუხისმგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოქალაქე, რომელიც დაარღვევს 1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ „მიწათმოწყობის დებულებას" მე-15 პუნქტში აღნიშნულ წესებს: გაჭყარდეს, გაჩეხებს ან იჯარით გასცემს ძალთვის სარგებლობის უფლებით მიცემულ მიწას, სასამართლოს წესით პასუხს აგებს ისევე, როგორც მსგავის განაღვრულ მიზნით ჩადგენილი ქონების მთავისებისა და გაფლანგისათვის და დაისჯება იმ ულებითი მუშობით ექვს თვემდე ან თავისუფლების ალკვეთით იქვე ითვით, მიწას სარგებლობის უფლების ჩამორთმევით; ამასთანავე ხელშეკრულობა გაბათლებულ იქნება.

2. მოქალაქე, რომელიც იყიდის, საჩუქრად თუ გირაოდ მიიღებს ან იჯარით აიღებს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მიწას, დაისჯება ისევე, როგორც იმავე დანაშაულებრივი მოქმედების მონაწილე.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. დეკემ. 20. ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 28

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტეტისა.

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტთან „შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის" დაარსების შესახებ.

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი გადაკეთებულ იქნეს „საქართველოში შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტად" — ამავე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, წევრებად — თითო პასუხისმგებელი წარმომადგენელი საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების და სხვა დაინტერესებულ უწყებათა და ორგანიზაციებისა.

შენიშვნა: აფხაზეთის ფედერატიული რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური ოლქისა და სამხრეთ დამშეულთა დამხმარე კომიტეტები აგრეთვე გადაკეთებულ იქნეს შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგთან ბრძოლის კომიტეტებად — მათი ძველი შემადგენლობით.

2. შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედუ-

რეგ-თა შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტი არის უმაღლესი ორგანო, რომელიც აერთიანებს, წარმართავს და კონტროლს უწევს ყველა ორგანიზაციების მუშაობას სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საქმეში.

3, აფხაზეთის ფედერატიული რესპუბლიკისა და საქართველო-ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე სამაზრო შიმშილობა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტები წარმოადგენენ ან არიშვალდებულ დაწესებულებას შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის მიმართ და მთლად ექვემდებარებიან ამ უკანასკნელს.

4. შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტების მოვალეობას შეადგენს:

ა) გაერთიანება ყველა საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების მუშაობა შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საქმეში.

ბ) გამონახვა სახსრისა შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საჭიროებისათვის.

გ) აღმოჩენა დახმარებისა შიმშილობისა და სხვა ყოველგვარ სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულთათვის,

დ) ხელის შეწყობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, და გრეულ მეურნეობისათვის ადგილობრივ, შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათ. შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის მიერ დაძტკიცებული გეგმის თანახმად.

ნ. შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტის სახსარი შედგება:

ა) სპეციალური ანაკრიფისა, გადასახადისა და დაბეგვრისა ან.

ბ) საშუშაო სასყიდლის ანარიცხის და შემოწირულებათაგან.

გ) სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემულ საშუალებათაგან.

დ) სხვა-და სხვა თამაშობისა და გასართობის ექსპლოატაციით შეკოსული თანხებისაგან.

შენიშვნა: მთავრობის მიერ ნებადართულ ყოველგვარ თამაშობათა მოწყობა მონოპოლიური უფლება მთლად რესპუბლიკაში ეკუთვნება მხოლოდ შიმშილობის და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტს.

6. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტეტ. თავმჯდომარე ფ. მ ხარაძე.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. დეკემბრის 7
ტფილისის-სასახლე

საბ. კომისართა საბჭო

დეკრეტი № 15.

საქართ. სოც. საბჭ. რეს. სახალხო კომის. საბჭოსი.

სასკოლო გადასახადის შესახებ.

1. შემოღებულ იქნეს ყველგან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სასკოლო გადასახადი, რომელიც გადახდევინებულ უნდა იქნეს ყოველი წლის დასაწყისს.

2. სასკოლო გადასახადი გადახდეს ყველა მოქალაქეს ორივე სქესისას, გარდა იმ პირებისა, რომელნიც ჩამოთვლილ არიან მე-3 მუხლში.

3. გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან:

ა) წითელარმიელნი.

ბ) პროფესიონალურ კავშირთა ის წევრნი რომელთა საშუშაო სასყიდელი არ აღემატება არსებული საბარიფო ქსელის მე 6 ხარისხის განაკვეთს.

გ) მოსწავლენი, უკეთუ მათ არ აქვთ დამოუკიდებელი სამუშაო სასყიდელი, რომელიც აღემატებოდეს მე-6 ხარისხის განაკვეთს.

დ) ის პირნი, რომელნიც იმყოფებიან სოციალურ მზრუნველობაზე.

ე) უმუშევრნი, რომელნიც ალნუსხვილ არიან შრომის ბირჟაზე.

ვ) ამა გადასახადის გამლებთა ოჯახის ის წევრნი, რომელთაკ არა აქვთ დამოუკიდებელი სამუშაო სასყიდელი და მთლად გადასახადის გამლებთა რჩენაზე იმყოფებიან.

ზ) ის გლეხნი, რომელნიც განთავისუფლებულ არიან სასურსათო გადასახადისაგან.

4. გადასახადის გამლებნი სამ ჯგუფად განიყოფებიან:

I) პროფესიონალურ კავშირთა ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასყიდელი მე-6 ხარისხის განაკვეთს აღემატება.

II) გლეხნი სოფლად და

III) დანარჩენი მოქალაქენი სოფლად და ქალაქად.

5. 1923 წლისათვის დაწესებულ იქნს გადასახადის შემდეგი განკვეთა: პირველ და მეორე ჯგუფისათვის ერთი მანეთი ოქროთი, ხოლო მესამე ჯგუფისათვის სამი მანეთი ოქროთი.

6. ერთი თვის განვავლობაში დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა ქალაქთა და ოლქების აღმასრულებელი კომიტეტები შეადგენენ მე 4-ხე მუხ აღნიშნულ სამივე ჯგუფის გადამხდელთა სიებს.

7. ესე სიები—ქალაქებში გამოფენილ უნდა

იქნეს ერთი კვირის განმავლობაში აღმასრულებელი კომიტეტის სადგომებში, ხოლო სოფლად წაკითხულ უნდა იქნეს კრებაზე.

8. იმ პირთ, რომელნიც სისწორით არ იქნებიან მოქცეულნი სიებში, შეუძლიანთ შეიტანონ საჩივარი საქალაქო და სამაზრო კომუნალურ საგადასახადო კომისიებში.

9. საჩ ვრები განიხილება კომისიების მიერ ორი კვირის განმავლობაში.

10. კომისიათა დადგენილებანი ამა საჩივრების გამო საბოლოოა და არ განისაჩივრება.

11. სასკოლო გადასახადი გასტუმრებულ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში კომისიის მიერ საჩივრის განხილვის შემდეგ.

12. გადასახადი ესე შეტანილ უნდა იქნეს გადამხდელის მიერ აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც მ სცემ გადამხდელს სათანადო კვიტანციას გადასახადის მიღების შესახებ.

13. მე-11 მუხ. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, გადამხდელის მიერ გაუსტუმრებელი გადასახადი ჩაირიცხება გაუღებელ გადასახადად, რაც იძულებით გადაიდევნებულ უნდა იქნეს გადასახადის თანხის 15 პროც. საურავის წამატებით ყოველთ ფურად.

14. სასკოლო გადასახადით შემოსული თანხა დახარჯულ უნდა იქნეს ადგილობრივ,—განათლების სახ ლხო კომისარიატის აღრიცხვისამებრ.

15. ამა დეკრეტის განსავითარებლად და განსამარტებლად განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს და გამოსცეს დაწვრილებითი ინსტრუქცია ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისათვის.

16. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა
საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **მ. ორახელაშვილი.**

განათ. სახ. კომისარი. დ. კანდელაკი.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. დეკემბრის 20.
ტფილისი - სასახლე.

დეკრეტი № 16.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს საადგილ მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს ყოფილ საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლებზე დარჩენილი ვალი მსესხებელთ გადაეხდეს ქვემოაღნიშნული დებულების თანახმად:

1. დაგირავებულ სახლებზე არსებული ვალი, გამოანგარიშებული ოქროს კურსის მიხედვით, გადახდილ უნდა იქნეს მსესხებლის მიერ ხუთი წლის განმავლობაში. დაწყებული 1923 წლის იანვრის 1-დან.

2. ვალის რაოდენობა განისაზღვროს თავნი ვალის იმ ნაწილით, რომელიც დარჩა მსესხებლებზე 1921 წლის ივნისის 30 ისთვის.

3. წინა მუხლში აღნიშნული თავნი ვალის რაოდენობიდან მსესხებელს გადაეხდეს მხოლოდ 10 პროცენტი.

4. ამიერკავკასიის ფინანსთა კომისარის რწმუნებულს საქართველოში უფლება მიეცეს მე-3 მუხლში აღნიშნული ვალის შემცირებისა 20 პროცენტით, უკე თუ მამულის დაგირავება მოხდა მსოფლო ომის დროს 1917 წ. მარტის 1-დე; 30 პროც. უკე თუ მამულის დაგირავება მოხდა 1917 წლის მარტის 1-ს შემდეგ; და 20 პროცენტამდე უკე თუ, დაგირავებული მამულის მდგომარეობის გამო, მსესხებელი ვერ შესძლებს აღრიცხულ ვალის გადახდას. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანხმობა.

5. გადასახადად აღრიცხული ვალი დაყოფილ უნდა იქნეს ათ ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდის ვადად დაინიშნოს 1923 წ. აპრილის 1-ლი; მეორესი—1923 წ. ოქტომბრის 1-ლი და შემდეგ ამავე წესით ყოველი ნახევარი წლის დამლევამდე.

6. უკეთუ მსესხებელი ვალს გაიდახდის აღნიშნულ ვადაზე ადრე სრულიად ან ნაწილობრივ, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულს საქართველოში უფლება ეძლევა ასეთ მსესხებელს მესამე მუხლში აღნიშნული თავნი ვალი, თავის შეხედულებით, შეუკვეცოს 20 პროცენტამდე.

7. მსესხებელს არ უნდა გადაეხდეს სესხის სარგებლი, მაგრამ თუ მან ვადაზე გადასახადი არ შეიტანა, მას გადაეხდება საურავი ვადაზე შეუტანელ გადასახადზე, ყოველ გადაცილებულ ნახევარ თვეში ნახევარი პროცენტი.

8. ვადაზე შესატანი გადასახადის და საურავის ჯამი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ოქროს კურსით, რომელიც გამოქვეყნდება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულის მიერ არა უგვიანეს ერთი თვისა ხვედრის შეტანის ვადამდე (§ 5).

9. დაგირავებული შენობები დაზღვეულ უნდა იქნეს ცეცხლისაგან, თანახმად არსებული კანონებისა.

10. თუ მსესხებელმა დაწესებულ ვადაზე გადასახადი არ შეიტანა, მას მიეცემა ორი თვის შეღავათი, ხოლო შემდეგ მამული გამოცხადებულ იქნება საჯარო გასასყიდად; უკეთუ მამულზე პირველი საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, უნდა მოხდეს

მეორე საჯარო ვაჭრობა არა უგვიანეს ერთი თვისა და თუ მეორე საჯარო ვაჭრობაზე მამული არ გაიყიდა, იგი დარჩება სახალხო ბანკს.

შენიშვნა 1: სესხის და საურავის ჯამს უნდა მიემატოს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი.

შენიშვნა 2: სახალხო ბანკზე დარჩენილ შენობებს განაგებს სახალხო ბანკის გამგეობა განსაკუთრებული წესების თანახმად

11. ამიერ კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწუნებულს საქართველოში დაევალოს ამა დეკრეტის განსახორციელებლად შეიმუშაოს სათანადო წესები.

12. მთელი თანხა, შემოსული დაგირავებულ სახლებზე თავნი ვალის დასაფარავად და საურავი იმ ვალისა, ხარჯების გამოკლებით,—ჩაირიცხება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშში, მოახმარდება საქართველოში დანგრეულ შარაგზების და ხიდების აღდგენას და სახელმწიფო გამომცემლობას.

13. დეკრეტი ესე არ შეეხება ნაციონალიზაციის, მუნიციპალაციის და რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ მამულებს.

14. უკეთუ მესაკუთრეს მამული ჩამოერთვა მე 13 მუხლში აღნიშნული წესით, ბანკის ვალის გადახდის შემდეგ მთავრობა ვალდებულია დაუბრუნოს მამულის პატრონს გადიხდილი ვალი მისი შეტანის დროს არსებული ოქროს კურსის მიხედვით, 12 პროცენტითურთ წლიურად.

15. ამა დეკრეტის განხორციელება დაევალოს სახალხო ბანკს, რისთვისაც მას ნება ეძლევა სათანადო განყოფილების გახსნისა და შტატის მოწვევისა.

16. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარის
მოადგილე **მ. ორახელაშვილი**

ამიერ კავკ. ფინანსთა კომის. რწმუნებ.
საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკემ. 28. ტფილისი—სახალხე.

დადგენილება № 62

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი 1922 წლისათვის სოფლად შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ფულად გადასახადად შეცვლის წესის შესახებ.

ერთი სახის ხარკის მეორე სახის ხარკად შეცვლის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1922 წ. თებერვლის 20 თარიღითა და 145 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 და 5 მუხ. დასამატებლად და შესაცვლელად,—საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომის უნარიანი მამაკაცი 18-და 50 წლამდე და მუშა-საქონლის პატრონი, რომელსაც კვირეულ (თებერვალი-იანვარი) და მეორე (სექტომბერი-ოქტომბერი) პერიოდში შრომისა და შარაგზით ტვირთ-ზიდვის ხარკი ნატურით არ გადაუხდია, აგრეთვე ის პირი, ვინც 1922 წლის მესაძე პერიოდში (ოქტომბერი-დეკემბერი) შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის მოსახდელად არ იქნება გაწვეული, მოვალეა ამ ხარკის ღირებულება ფულად გიდაიხადოს.

2. იმ ფულის რაოდენობას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შრომისა და შარაგზით ტვირთ-ზიდვის ხარკის ერთი დღის ნატურით მოხდის ნაცვლად, დააწესებენ შრომისა და ფინანსთა კომისარიატები ყველა მაზრისათვის ცალკე, ადგილობრივ პირობათა მიხედვით.

3. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის სანაცვლო ფულადი გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს ის მოქალაქე და მუშა-საქონლის პატრონი, რომელიც შეესაბამება შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ამა წლის იანვრის 28 თარიღითა და 5 ნორმით გამოცემული დადგენილების („მცხოვრებთა მიერ შრომისა და შარაგზით ტვირთ-ზიდვის ხარკის მოხდისაგან განთავისუფლებისა და შეღავათების შესახებ") პირველ და მეოთხე მუხლში აღნიშნულ პირობებს.

4. შეკრეფილი ფული შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში და ჩაირიცხოს: 15% ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის რწმუნებულის დეპოზიტში შრომისა და შარაგზით ტვირთ-ზიდვის ხარკის ფონდად, ხოლო 85% ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულის დეპოზიტში,—ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარის რწმუნებულთან შეთანხმებით,—სამეურნეო ორგანოების შორის გასანაწილებლად (სახელმწიფო ორგანოებს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს შორის,—სათანადო აღრიცხვის წარდგენის შემდეგ).

5. მთელი ტეხნიკური მუშაობა, რომელიც დასჭირდება აღნიშნული გადასახადის აკრეფას, დაევალებათ შრომისა და ფინანსთა ადგილობრივ განყოფილებებს თემის რწმუნებულთა მეშვეობით.

6. შრომის სახალხო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევათ ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ დადგენილებანი, ცირკულიარები და განკარგულებანი.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ სოც. საბჭ, რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდ. მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ა. კ, ს. ს. რ. შრომის სახალხო
კომისრის რწმუნებული **ა. იაშკილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკემ. 23. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება 64.

საქართ. სოც. საბჭ. რეპ. სახ. კომის. საბჭოს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს 1922 წლის დეკემბრის 5 თარიღითა და 61 №-რის დადგენილების საქართ. კოოპერატიულ ბანკზე გავრცელების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისარიატ საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 5 ს თარიღითა და 61 № რით გამოცემული დადგენილების მოქმედება.—საქართველოს სახალხო ბანკის ვადა გადაკილებულ სესხების და სხვა საქტივო ოპერაციების შესახებ,—გავრცელებულ იქნ.ს საქართველოს კოოპერატიულ ბანკზე.

2. დადგენილება ეხე ძალაში შედის 1923 წ. იანვრის 1 დან.

საქ. სოც. საბ. რესპ. სახ. კომის. საბ.
თავ.ჯდ. მოადგ ლე **მ. ორახელა.ვ ლი.**

სახ. კომის. საბ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკ. 30. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 65

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოს.

სამოქალაქო გადასახადის თანობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ზემო ავკალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოსაყენებლ ფონდის გასალიერებლად შემოღებულ სამოქალაქო გადასახადის შესახებ—საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის და საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოს მიერ ამა 1922 წლის დეკემბრის 7 ს თარიღითა და 25 № ით გამოცემული დადგენილების მე-3 ძუხ. ა პუნქტისა და მე-5 მუხ. ს ცვლელად და დამატებლად—საქართველოს სოც. საქ. რესპ. სახალხო კომისარიატ საბჭო ადგენს:

1—ა) — მუშა-მოსამსახურენი (პროფესიონალური კავშირების წევრნი), ა.რეიე სამხედრო მოსამსახურეი, ოთ ელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი სამ ში ათ ნამდე მიიღეს,—სრულიად გათავისუფლ ბულნი არიან სამოქალ. გადასახ.ადისაგან; ი) ძუშა მ. სამსახურენი (პროფესიონალური კავშირების წევრნი), აგრეთვე საახედრო მოს. სახუენი, რომ ელთაც 1922 წლის დეკ.მბერში შ.ომ.ის სასყიდელი მიიღეს სამი მილიონიდან ხუთ მილიონამდე, გადაიხდიან ორმოცდაათ კაპ. ოქროთი; გ)—მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი ხ.ით მილიონზე მეტი ძიიღეს გადაიხდიან ერთ მან. ოქროთი.

შენიშვნა: პირველი მუხ. ბ პუნქტში აღნიშნული პირნი განთ ვისუფლ.�d არიან მ თი ოჯახის წევრთა გადას ხ.ლისაგან, უკ.ეთ ამ უკ.ი სანელთ არავითარი შემოსავალი არა აქვთ და იმყოფებიან პიოველთა რჩენაზე

2. ტფილისის ქ ლაქის აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლ.ვა გა გრძელოს, თავ.ისი შეხედულებისამებ.ერ, გ დაიხდ.ელების მიერ სამოქ ლაქო გადასახ.ადის შ.ტანის ვ.და. ხოლო არა უგვიანეს 1923 წ. იანვრის დამლ.ამდე.

3. 1923 წლ. ი ნვაოში გადასახადი გადახდ.ევინებულ უნდა იქნეს ფინანსთა ს.ახალხო კომისარიის მიერ 1922 წლის დ.ეკ.ემბრისათვ ს დაწესებული კუ.ესით.

4. დადგენილება ესე ძალაში შ.ედის დ.ღიდან მისი გამოქვეყნ.ებისა.

საქართ.ელოს სოც. საბ. რესპ.ბლიკის
სახალხო კომ.ისარიატ საბ.ჭოს თავ.ჯდომარის მოადგილე **მ. ორაბელა.ვ ლი.**

სახალხო კომისარიატ საბ.ჭოს
ძდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკემ. 30. ტფილისი—სასახლე

დადგენილება № 66

საქართველოს სოც. საბ.ჭ რესპ.ბლიკის სახალხო კომისარიატ საბ.ჭოსი.

მე-9 №-რით გ.მოცემული დეკ.ერეტის დამატების შესახებ.

კერძო მფლობ ლობის სახლებში ბინ.ების შესახებ მე-9 №-რით გამ.ოცემული დეკ.ერეტის დასამ.ატებლ.ად საქარ.ველოს სოც. საბ.ჭ. რესპ.ბლიკის სახალხ.ო კომისარ.ია ს ბ.ჭ ადგ.ენს.

1) ბინის ქირის გადა.ხდ.ელთა პირ.ველ კატეგორ.ია.ში ჩ.ა.რ.ი.ცხ.ის აგრ.ეთვე ის პროფე.ონალ.ური კავშირის წევრი, რომელ.ი.ც სახელ.ა.წ.ი.ფ.ო სა.ზ.ოკ.ადოებ.რ.ივი და კერძ.ო დაწ.ესებ.ულ.ე.ის და საწ.ა.რ.მ.ოს.ის სამსახ.ურ.ში ა.რ.ი.მ.ყ.ო.ფ.ება, უკ.ეთ.ეს ი.ს თ.ავ.ის ხ.ელ.ობ.ით ნ.ა.რ.ტ.ო.ხ.ლ.ა ძ.ო.ბ.ე.ვ.ე.ა (ხ.ერ.ო, მ.ლ.ე.ბ.ავ.ი, გ.ა.დ.ა.ბ.ზ.ე.ა.ვ.ი, ტ.ვ.ი.რ.თ.ა.ზ.ი.დ.ა.ი.ი მ.უ.ბ.ა. და სხ.ვ.ა.)

საქართველოს სოც. საბ.ჭ რ.ე.ბ.ლ.ი.ა.ს
სახალხ.ო კ.ო.მ.ი.ს.ა.რ.თ.ა.ს.ბ.ჭ.ო.ს.ს.ა.ვ.ბ.ჭ.ო.ს.ა.ვ.ბ.ჭ.ო.ს.ა.ვ.ბ.ჭ.ო

დადგენილება № 67.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

წარმოებაში მოზარდთა სავალდებულო რიცხვის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. რადგანაც შტატების შემცირების დროს სხვა და-სხვა წარმოებაში ხდება მოზარდთა რიცხვის არა პროპორციონალური შემცირება, რაც საფრთხეს წარმოადგენს კვალიფიკაციური მუშა ძალის სწორი აღდგენისათვის, ამიტომ ქვემოდ ჩამოთვლილ საძრეწველო დარგებს თვის საათანადო წარმოებაში ყველა მომუშავეთა რიცხვთან შეფარდებით, დაწესებულ იქნეს სავალდებულო პროცენტი რომელზე ნაკლები არ შეიძლება იყოს ამ წარმოებაში რიცხვი 15—16 და 17 წლიან მოზარდებისა.

2. მეწველობის დარგები, რომლისთვის ცწესდება მოზარდთა ეს სავალდებულო და მინიმალური პროცენტი და ამ ძალიმუშის ოოდენობა თითეულ ცალკე დარგში წესდება შემდეგი ცხრილის მიედვით.

მეტალურგია და მეტალის დამუშავება — 8 პროც., ბამბის დამუშავება — 6 პროც., მატყლის — 8 პროკ., აბრეშუმის — 5 პროკ., ბოკვის (ვოლოკნო) შეფეულ ნივთიერებათა დამუშავება — 5 პროკ., პოლიგრაფიული წარმოება — 13 პროკ., ხეტყის სახერხი წარმოება — 5 პროც., ფირფიცარის (ფანერნაია) წარმოება — 6 პროკ., ხის დამუშავების წარმოება — 0 პროც., შუშის წარმოება — 15 პროკ., ცემენტისა და ცეცხლშეუპოვარი აგურის წარმოება — 5 პროკ., კოქსა და ალებასტრის წარმოება — 4 პროკ., მცხეილი ტყავეულობის ქარხნები — 3 პროკ., წვრილი ტყავეულობის ქარხნები 5 პროკ., სახაოატო და უაკირ-ფეხსაცმელების ქარხნები — 20 პროკ., ბეწვეულია (მოხეია) მრეწველობა — 5 პროკ., საკონდიტრო — 10 პროკ., წისქვილები — 4 პროკ., საკონსერვო (თუნუქისა და კოსერვების გეოფილების და დამამზადებელ საამუშაოების თანდართვით) წარმოება — 5 პროკ., ზეთის საბეღელის (მცენარეულობის) წარმოება — 5 პროკ., თამბაქოსა და ციგარეტის წარმოება — 7 პროკ., ძირთადი ქიმიური მრეწველობა — 5 პროკ., ნახშირისა — 6 პროკ., ტნისათვის სა და ტუალეტის — 7 პროკ., ჩაის წარმოება — 5 პროკ.,

3. მორიგ მუხლში აღნიშნული მოზარდთა რიცხვის განსაზღვრული მინიმალური ნორმა სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებისათვის.

4. ყველა წარმოება, სადაც 15—16 და 17 წლიან მოზარდთა რიცხვი მე 2 მუხლში აღნიშნულ %-ტზე ნაკლეა, ვალდებულია გაიზარდოს მოზარდთა რიცხვი დაწესებულ ნორმამდე არა უგვიანეს 1923 წლ. თებერვლის 1-სა.

5. იმ წარმოებაში, სადაც მოზარდთა რიცხვი მე-2 მუხლში დაწესებულ ნორმას აღემატება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვეს შემცირება.

შენ. შენა: უკეთუ მოზარდთა რიცხვის შემცირება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ასეთი შემცირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს და საქ. ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ოოგანოების დასტურით.

6. შრომის სახალხო კომისარიატს — საქართ. პროფკავშირთა საბჭოსა, საქ. ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირისა და სათანადო სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით უფლება აქვს: ა) დააწესოს სავალდებულო პროცენტი მინიმალური მეწარმეობის იმ დარგებში, რომელიც ამა დადგენილებით გადავალისწი ებულია არ აოი; ბ) წარუდგინოს ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოს განცხადება დაწესებული ნორმის შეცვლის შესახებ.

7. დავალოს შრომის ინსპექციას განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებათა მიერ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ.
თავმჯდ. მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკას. რესპ. შრომის სახ. კომის.
რწმუნებული საქართველოში **ა. იაშვილი:**

სახ. კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. იანვრის 2.
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 68.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომის. საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო იხილავს რა სურვილს საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობისა, რომელმაც ამა იანვრის 6—7 მაისართა ყველგან სათანადო ხელისუფლებას თხოვნით, რათა სამხედრო ტაძრები გადაქცეულ იქნეს მოზარდი თაობის საყურადღებოდ განძანათლებლო მუშაობის კერად და, მიაჩნია რა მიზანშეწონილად ასეთი გამოყენება ხსენებული ტაძრისა, რომელნიც აშენებულია მეფის ძთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობის ხიშვად და მუშათა და გლეხთა შვილების სულიერი დამონებისათვის-ადგენს:

1. ყველა სამხედრო ტაძარი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა — ყველგვარი თავისი საიზოვო შენობებით, — გადაეცეს საქართველოს **კომუნისტური ახალგაზრდობის** კავშირის იმ მიზნით,

რათა მან,—მუშათა და გლეხთა წითელ არმიასთან, ერთად,—გამოიყენოს ეს ტაძრები საკულტურო-ხაგანმანათლებლო მუშაობისათვის ახალგაზრდობისა და წითელ არმიელთა შორის.

2. იმ ქალაქების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათ, სადაც სამხედრო ტაძრებია, უნდა მიიღონ თავიანთ გამკებლობაში ეს ტაძრები და უზრუნველყონ განათებითა და გათბობით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **ვ. ორახელაშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1923 წ. იანვრის 8,
ტფილისი—სასახლე.

შინაგან საქმ. სახ. კომის.

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო და ქალაქის ადმინკომებს.

ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის გარეშე დარჩენილ შენობების დაქირავების წესის შესახებ.

ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის გარეშე დარჩენილ შენობის საბჭოთა დაწესებულებისათვის დაქირავება ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა ხდებოდეს ქირის იმ ნორმის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია მე-9 №-ის დეკრეტით.

ცირკულიარი ესე გეგზავნებათ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**

კომუნალურ განყოფილების გამგე **ნანეიშვილი**

9 დეკემბერი, 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო და ქალაქის ადმინკომს.

ხანძრის ცნობის ფურცლების წარმოდგენის შესახებ.

მიუხედავად ამა წლის 2 ივლისის თარიღით № 587/4385 ჩვენი ცირკულიარულად განკარგულებისა, ზოგიერთი სამაზრო ალმასკომების კომუნალურ განყოფილებებს დღემდის არ წარმოუდგენიათ ხანძრის ცნობის ფურცლები.

გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა არა უგვიანეს 1923 წ. ნ იანვრისა შედგენილი და წარმოდგენილი იქნეს აღნიშნული ხანძრის ცნობის ფურცლები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე.**

სამილიცო განყ. უფროსი **ქავთარაძე.**

კომუნ. განყ. გამგე **ნანეიშვილი.**

ცეცხლის მქრობი რაზმ. ინსპექ-
ტორის მაგ. **ი. მაახსი.**

13 დეკემბერი, 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრისა და ქალაქის ადმინკომთა თავმჯდომარეთ.

ეკლესიის გალავანში აგებული შენობების ეკლესიის განკარგულებაში დატოვების შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობების მიხედვით, ვინაიდან ხშირად ადგილი აქვს ხოლმე ბევრ გაუგებრობას ეკლესიებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა შორის დამოკიდებულებაში, განსაკუთრებით ეკლესიებისა და მონასტრების გალავანში აგებული შენობების გამო, სრ. საქართველოს ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის ამა წლის 25 ოქტომბრის (3137) და 14 ნოემბრის (№ 3433) მომართვების თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე და ამავე კომისარიატის ამა წლის 3 ივლისის ცირკულიარის დასამატებლად (იხ. „მოამბე" № 36) გაცნობებთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, რომ ეკლესიების და მონასტრების გალავანში აგებული შენობები უნდა რჩებოდეს ეკლესიებისა და მონასტრების განკარგულებაში, სანამ ამ საგანზე ჩვენ მიერ არ იქნება მოხდენილი საგანგებო განკარგულება.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

კომუნ. განყოფ. გამგე **ნანეიშვილი.**

18 დეკემბერი, 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარულად.

ყველა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს.

წყალდიდობის დროს გატაცებულ ხე-ტეის მასალის პატრონებისათვის დაბრუნების შესახებ.

როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს ადგილობრივი მცხოვრებლები განაგრძობენ უკანასკნელ წყალდიდობის დროს წაღებულ და სხვა-და-სხვა ადგილებში გარიყულ ხე-ტყის მასალის გატაცებას.

გაცნობებთ რა ზემო აღნიშნულს დამატებითი ამა წლის (№№ 21 72 და 27 84-ით) ცირკულიარული მოწერილობისა, წინადადებას გაძლევთ თქვენი პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ, მიიღოთ მკაცრი ზომები, რათა წყალდიდობით წაღებულ ხე-ტყის მასალა, რომელიც გაიტაცეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, სასწრაფოდ ჩამოერთვათ მათ და გადაეცეს სათანადო უწყებებს კუთვნილებისამებრ.

ამასთანავე გავალებთ, ყოველ მიზეზის გარეშე არა უგვიანეს 28 ამა დეკემბრისა წარმოადგინოთ ცნობები, თუ რა ზომებია თქვენ მიერ მიღებული აღნიშნულის შესახებ.

შინ. საქ. სახ. კომისარი ა. **გეგეჭკორი**

საქმეთა-მმართველი დ. **ჩიქოვანი**..

კომუნალურ. განყ. გამგე **ნანეიშვილი**.

25 დეკემბერი, 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა აღმასრულებელ კომიტეტს.

(კომუნალურ განყოფილებისათვის).

1922 წ. განმავლობაში კომუნალურ განყოფილებათაგან წარმოებულ საალმშენებლო მუშაობის ანგარიშის წარმოდგენის შესახებ.

შინ. საქ. სახ. კომისარიატი გავალებთ გვაცნობოთ დაუყონებლივ შემდეგი:

1. რა სატეხნიკო საამშენებლო იქნა შესრულებული 1922 წლის იანვრის 1-დან დღემდე.

2. აღნიშნულ სამუშაოებიდან რა სამუშაოები შესრულდა ადგილობრივ გადასახადთაგან შემდგარ საშუალებიდან და რა სამუშაოები ხაზინიდან გაღებულ თანხებით.

3. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სატეხნიკო საამშენებლო სამუშაო შესრულებული იყო ხაზინიდან გაღებულ თანხებით, რომელი მათგანი შესრულდა შ. ს. ს. კომისარიატის შუამდგომლობით გაცემულ თანხებიდან;

და 4. რა სამუშაოები დარჩა შეუსრულებელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე**.

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**.

კომუნალ. განყ. გამგე **ნანეიშვილი**

25 დეკემბერი, 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეებს.

დაწესებულებებში ყველა საქმეების სახელმწიფო ენაზე წარმოების შესახებ.

ცნობისათვის და სახელმძღვანელოთ გაუწყებთ, რომ 1923 წლის 1 იანვრიდან მთელი საქმის წარმოება და აგრეთვე ბუჰალტერიაც უნდა გვერდაუხვევლათ აწარმოოთ სახელმწიფო-ქართულ ენაზე. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ბორჩალოს მაზრა და სამხრეთ ოსეთი.

ამას დავსძენთ, რომ თვით ცენტრშიც ე. ი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მიმოწერა და ბუღჰალტერია 1 იანვრიდან იქნება მხოლოდ ქართულ ენაზე.

შ. ს. ს. კომისარი ა. **გეგეჭკორი**.

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**.

საერთო განყ. გამგე ა. **ჩიქოვანი**.

27 დეკემბერი, 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

ფოსტა-ტელეგრაფითა და ტელეფონით საარგებლობისათვის საფასურის გადახდის შესახებ.

მიუხედავათ ჩვენი ცირკულიარული განკარგულებისა ამა წლის დეკემბრის 19 თარიღით 10/99 №-ით კომისარიატს ხშირად მოსდის ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატიდან, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (აღმასკომები, მილიცია) არ იხდიან სათანადო საფასურს

ფოსტა-ტელეგრაფით, ტელეფონით და რადიო ტელეგრაფით სარკებლობისათვის.

ყოველივე ამის გამო, კიდევ ერთხელ გაცნობებთ რომ ყოველგვარი შეღავათი მოსპობ ლია და ზემოთ აღნიშნული ოპერაციები სწარმოება მხოლოდ ნაღდ ფულზე.

შინ. საქმ. სახ. კომის. მოადგილე **ტალახაძე.**

საქმ. მმართვ. მოადგილე **ა. ცინცაძე.**

საერთო განყ. გამგე **ა. ჩ ქოვანი.**

10 იანვ., 1923 წ.

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო აღმასკომებს.

ახალგაზრდა კომკავშირისათვის კასპიის ფლოტის კვირეულის ჩატარების საქმეში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

თანახმად საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნისა, 5 იანვრის თარიღით 1923 წელს № 2284 წინადადება გეძლევათ, რათა ადგილობრივ ახალგაზრდათა კომ. კავშირებს აღმოუჩინოთ როგორც იდეიური, ისე მატერიალური დახმარება კასპის ფლოტის კვირეულის ჩატარებაში. აგრეთვე წინადადება გაძლევათ გამოუშვეროთ ქალაქში და თემებში არსებულ ახალგაზრდათა კომკავშირებს იაჩეიკებს თქვენს ანგარიშვალდებულ გაზეთი „სპარტაკი“ და ჟურნალი „მოლოდეჟ“.

შინაგან საქმ. სახ. კომის. **ა. გეგეჭკორი.**

მდივნის მაგიერ **ხამაშურიძე.**

11 იანვ. 1923 წ.

ცირკულარულად.

ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასკომებს.

სიდარიბის მოწმობათა გაცემის შესახებ.

როგორც სჩანს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მომართვიდან მეტად გახშირებული სახალხო სასამართლოებში, საჩივრებთან წარდგენა აღმასკომების მიერ გაცემულ სიღარიბის მოწმობებისა, რის ძალითაც სასამართლო ვალდებულია გაანიავისუფლოს მოჩივანი სასამართლოს ბაჟის გადახდისაგან.

შეჩნეულია აგრეთვე, რომ სიღარიბის მოწმობას ღებულობენ არა მარტო ის მოქალაქენი, მიმელთაც არსებითად აქვთ უფლება ასეთ მოწმობაზე.

ამიტომ მოგაგონებთ რა თქვენს სრულ პასუხისმგებლობას სიღარიბის მოწმობების გაცემის საქმეში, გაძლევთ წინადადებას საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის 134 №-ის („მოამბე“ № 29) მე-7-დე მუხლით მოქალაქეთათვის შინაარსებული უფლება გაატარონ ცხოვრებაში. შეტანა სიფრთხილით.

შინ. საქმ. სახ. კომის. მოადგ. **ტალ ხაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საინსტრ.-საინფორმაციო განყ-ფ. ლ. გამგ ს მოადგ **გ. ქართველიშვილი.**

12 იანვ. 1923 წ.

გრძანება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა.

ძველი მანდატების და სამსახურის მოწმობების გაუქმების შესახებ.

ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლები სარგებლობენ მათთვის სამსახურის გამო მიცემულ მანდატებითა და მოწმობებით იმ ს შემოიგებაკ, რაც ისინი სამსახურიდან დათხოვნილი იქნენ, და ამით შეცდომაში შეყავთ ხელისუფლების ორგანოები და შეიძლება კერძო პირნი და დაწესებულებანიც, ასეთი მოვლენების თავიდან ასაცილებლათ წინ დადგენას ვაძლევ ყველა ქაზრის და ქალაქის და ავტონომიურ ერთეულების აღმასკომებს, რათა როგორც აღმასკომების, ისე უკანასკნელების ქვემდებარე დაწესებულებათა თანამშრომლებს სამსახურის მანდატები და მოწმობები ეძლეოდეს ვადით არა უმეტეს 3 თვისა, და რომ ის ვადა აღნიშნული იყოს თვით მანდატებსა და მოწმობებზე. ხოლო რაც შეეხება მანდატებსა და მოწმობებს, რომელნიც გაცემულნი არიან ამ გრძანების გამოქვეყნებამდე, ყველა ისინი გაუქმებულად უნდა ჩაითვალონ: ტფილისში — ამა იანვრის 7 რიცხვიდან, ხოლო პროვინციაში—ამავე თვის 15 რიცხვიდან.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**

3 იანვარი 1923 წ. ქალ. ტფილისი

გრძანება.

შინ. საქმ. სახ. კომისრ სა.

ქუჩების დასახელების და სახლის ნუმრების გამოცვლის შესახებ.

ცეცხლის ჩაჩენის ან სხვა რაიმე უბედურ შემთხვევის დროს, რაკ მოითხოვ ცეცხლის მქრობელ რაზმთან არსებულ მოწყობილობათა მოხაზეას, ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ დახმარების აღმოჩენისათვის. საწ-ოფოდ საჭიროა, რომ უკანასკნელს დღე და ღამ დაუბრკოლებრივ შეეძლოს გა-

მოძახებული ადგილებზე, ე. ი. შეტყობინებულ მისამართზე მისვლა (იხ. „მოამბე" № 45 – 46).

ვიდრე რა მხედველობაში, რომ რესპუბლიკის უმრავლეს ქალაქის ქუჩებზე მათი დასახელების წარწერით და საშუალების ნუმერაცია სიძველისაგან არის წაშლილი ან სრულებით არ ყოფილა გაკეთებული, წინადადებას ვაძლევ ადგილობრივ კომიტეტებს, რომ მოკლე ხანში ყველა ქუჩებზე ალადგინონ მათი დასახელების ნუმერაცია.

ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინ. საქმ. სახალხო კომის. **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

ცაცხლთან მბრძოლელ საქმეთა გამგე **მახსი.**

5 იანვარი, 1923 წ.

ბრძანება № 3.

ოზურგეთის მაზრის მილიციისათვის მადლობის გადაცემის შესახებ.

განვიხილე რა ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსის ამხ. ძახარ ძის მიერ წარმოდგენილი ვრცელი წლიური ანგარიში ოზურგეთის მაზრის მილიციის მოღვაწეობის შესახებ კმაყოფილებით უნდა ალვნიშნო, რომ ოზურგეთის მილიციის მიერ გასული წლის განმავლობაში საერთოდ, კერძოთ კი ბანდიტებსა, ყაჩაღებსა, გუნწოლებელ ქურდებსა და სხვა მშრომელი ხალხისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებისა წინააღმდეგ ბრძოლა, იყო ძალიან ნაყოფიერი და ყველმხრივ დამაკმაყოფილებელი. საჭიროდ მიმაჩნია ალვნიშნო, რომ ოზურგეთის მაზრის მილიციამ თავის მუშაობით და საკუთარ ურობრივი მოქმედებით გამოიჩინა მაქსიმალური ენერგია, რაც გამომდინარეობდა საკუთარ ურის მოვალეობის სრული და ჭეშმარიტი შეგნებისგან, თავგანწირული, სამაგალითო და ყველასათვის მისაბაძი მუშაობისა და ხელისუფლებისადმი ერთგულებაში. ამ მუშაობას ამკარათ ადასტურებს შემდეგი გარეგანება:

ძალიციის მიერ მოკლულია 12 ბანდიტი და 18 ქურდი შეიარაღებული მცარცველი, შეპყრობილია ჰასუხისგებაში მიცემული და ბევრი გასაძარცვლებული, გაუსწებელი ქურდი რიცხვით 126,8 დეზეტირი, სულ მოკლული და შეპყრობილთა რიცხვი არის 164.

ამ რიგად 1922 წლის განმავლობაში ოზურგეთის მილიციამ გაანადგურა მშრომელი ხალხის ამაოხრებელი და ამწიოკებელი 164 ბოროტი ელემენტი და მით საშუალება მისცა მაზრის მშრომელ მასას იცხოვროს დამშვიდებით და იმუშაოს თავისი ოსებობის პირობების გაუმჯობესებისასვის.

საკუთარ ოდ ამასთან ერთად უნდა ალინიშნოს, რომ მილიციას ასეთი ნაყოფიერი მუშაობა, ძვირად დაუჯდა: ბანდიტებთან და ქურდებთან ბრძოლამ ინსტიტუტ ალა საანგარიშო წლის მილიციის საკომანდო შემადგენლობიდან 7 სანკიტისა თანამშრომელი, რომელთა დაკარგვა-ხელოვნურად დანაკლისია მეშვერ გლეხური ხელისუფლებისა და სახალხო სადარაჯოზე დახოცილთა ოჯახებისათვის.

ზემოხსენებული არის ნაყოფი, როგორც მაზრის მილიციელთა საკუთარ ურის მოვალეობის ჭეშმარიტი შეგნებისა, ისე მათი ლარსეული უფროსების მ ზანმეწონილ ხელმძღვანელობისა და თავდადების.

ამიტომ ოზურგეთის მაზრის მილიციას, მაზრის მილიციის უფროსის სახით, ვუცხადებ გულითად მადლობას და მასთან ვრძანებ:

1. მიეცეს მაზრის მილიციის უფროსს ა-ბ-ბ-ბ

წყლის მოწოდების საქმის გაუმჯობესება, ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება და ყოველგვარ კომუნალურ დახმარებათა რაციონალური მოწყობა.

მაგრამ ამ დიდ საქმეს ესაჭიროება დიდი თანხა, არც მთავრობას, არც ქალაქის აღმასკომს არა აქვს საშუალება, რომ ეს დიდი საქმის ხარჯები დაფაროს თავისი ჩვეულებრივი შემოსავლით.

საჭიროა თვით მცხოვრებლები დაეხმარონ მას ამ საქმის დაგვირგვინებაში. ამიტომ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ, 7 დეკემბერს, დაადგინეს შემოღებულ იქნას ტფილისში სპეციალური სამოქალაქო გადასახადი, რომელიც მოხმარდება მხოლოდ გიდრო ელექტრონულ სადგურის აგების საქმეს.

გადასახადს იხდის ყველა შეძლების დაგვარათ. ამ საერთო საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ყველას, როგორც მუშა მოსამსახურეებს, ისე დანარჩენ მოქალაქეებსაც და შეძლებულ კლასს.

ქალაქის აღმასკომი მოუწოდებს მცხოვრებლებს შეასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, დაეხმარონ ქალაქის აღმასკომს გადასახადის დროზე შემოტანით და ამნაირათ მოგვცენ ჩვენ საშუალება პირნათლად დავასრულოთ ის საქმე, რომელსაც აქვს საშვილიშვილო მნიშვნელობა.

თბილისის ელექტროფიკაციის საქმე ტფილისის მცხოვრებთა ხელშია. მხოლოდ მათი დახმარებით, მათ ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობით შეიძლება ამ დიდი საქმის გაკეთება.

ვისაც სურს აყვავდეს და განვითარდეს თბილისის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, ის აუცილებლათ დაგვეხმარება ამ საქმეში.

ვისაც სურს, რომ ახლო მომავალში უზრუნველ-ყოფილი იქნეს სინათლით, წყლით და სხვა კომუნალური დახმარებით, ის თანაგრძნობით შეხვდება ამ საქმეს და ყოველ მხრივ დაგვეხმარება ამ მძიმე მოვალეობის. შესრულებაში.

მუშებო, მუშათა იდეალის სრული განხორციელება ტეხნიკის უმაღლეს განვითარების ისტორიული გზითაა შესაძლებელი.

ელექტროფიკაცია—ტეხნიკის განვითარებაა. ამ საქმეში თქვენ უნდა იყოთ პირველ რიგში. თქვენ მიერ ნაჩვენები მაგალითი უნდა იყოს მისაბაძი ყველასათვის

მოქალაქენო, თბილისის ელექტროფიკაცია სახალხო მნიშვნელობის საქმეა, თბილისის კეთილ მოწყობა, გამშვენიერება და ცხოვრების პირობების სასურველათ დაყენება,—ეს თქვენს პირად ინტერესსაც შეადგენს.

ამიტომ, ამ საქმეში ყველა უნდა იღებდეს აქტიურ მონიწილეობას, არავინ არ უნდა ჩამორჩეს უკან.

სამოქალაქო გადასახადი—ეს დიდი ნივთიერი და ამავე დროს მორალური დახმარებაა ქალაქის აღმასკომისადმი.

და ჩვენ ველოდებით ამ დახმარებას თბილისის მცხოვრებთაგან.

ქალ. აღმას, თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

სამოქ. გადასახ. გამტარ. საგანგ.
კომ. თავმჯდომარე **გ. კიკნაძე.**

მდივანი **ხუნდაძე.**

საკანონმდებლო დადგენილება № 1.

ქ. თბ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 30 დეკემბრის დადგენილების № 65 თანახმად, ქალ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი მის მიერ 19 დეკემბერს 1922 წ. სამოქალაქო გადასახადის შესახებ გამოქვეყნებულ საკანონმდებლო დადგენილების № 25 შესაცვლელად და დასამატებლათ ადგენს: § § 2, 3, 4, 7 რედაქცია შეცვლილ იქნეს შემდეგი სახით.

§ 2.

სამოქალაქო გადასახადი გადახდილ იქნას შემდეგი რაოდენობით: ა) მუშა-მოსამსახურეთა მიერ (პროფესიონალურ კავშირის წევრთა მიერ), აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებისაგან, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი მიიღეს სამ მილიონზე მეტი ვითრე ხუთ მილიონამდე—ორმოცდა ათი კაპ. ოქროთი; ბ) მუშა-მოსამსმხურეთაგან (პროფესიონალურ კავშირის წევრთაგან), გარეთვე სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი ხუთ მილიონზე მეტი მიიღეს—ერთი მანეთი ოქროთი; გ) სავეჭრო-სამრეწველო კლასის პირთა მიერ სამი მანეთი ოქროთი ხოლო ყველა დანარჩენ პირთა მიერ ერთი მანეთი დაიორმოცდა ათი (1 მ. 50 კ.) სულზე.

შენიშვნა: 1 ამ მუხლის ა პუნქტში აღნიშნულნი პირნი განთავისუფლებულნი არიან მათი ოჯახის წევრთა გადასახადისაგან, უკეთუ ამ უკანასკნელთ არავითარი შემოსავალი არა აქვთ და პირველთა ხარჯზე ცხოვრობენ.

შენიშვნა: 2. სამოქალაქო გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს ქართული ბონებით იმ კურსის მიხედვით, რომელიც გადახდის დღეს იქნება დაწესებული ფინანსთა კომისარიატის მიერ.

§ 3.

სამოქალაქო გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს გადამხდელთა მიერ არა უგვიანეს იმ ვადისა, რომელიც ცალკე გამოცხადებული იქნება ქალ. თბილისის აღმასრულებული კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

შენიშვნა: 1. გადასახადს თანაბრად ოჯახის უფროსისა, იხდიან ოჯახის ის წევ

რები, რომელთაც არავითარი თავის შემოსავალი არ აქვთ და ოჯახის უფროსის ხარჯზე ცხოვრობენ და ამ დადგენილების მიხედვით არ თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

შენიშვნა: 2 ოჯახის წევრებათ ითვლებიან ცოლი, შვილი და დედ-მამა (ქმარის და ცოლის).

შენიშვნა: 3 გადასახადის გაულებლობის გამო ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ გამოცხადებულ ვადაში მიემატოს გადასახადს თხუთმეტი დღის განმავლობაში ამ ვადისა 25 პროც. საურავი, ხოლო ამის შემდეგ გადასახადი გაორკეცებულ იქნეს და ვინც არ შეიტანს, ადმინისტრატიული წესით გადახდის.

§ 4.

სამოქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნან: ა) ნამდვილი სამსახურში მყოფი წითელ-არმიელნი და მილიციონერები, ბ) სახელმწიფო სასწავლებელთა მოსწავლენი, თუ ისინი არ მსახურებენ, ბ) პირი, რომელიც სოციალურ უზრუნველ ყოფით სარგებლობს, დ) უმუშევარი, რომელიც შრომის ბირჟაში არის აღრიცხული დადგენილების გამოცხადებამდე, ე) ქალი, რომლის მზრუნველობაში იმყოფება ერთი ან მეტი ბავშვი 17 წლამდე, ან ოჯახის სხვა უნარ მოკლებული წევრი, თუ იგი დამოუკიდებლათ, სხვისი დახმარების გარეშე ეწევა თავის მეურნეობას, ვ) დიასახლისი, რომელიც ემსახურება ხუთისა და მეტი სულისაგან შემდგარ ოჯახს, ზ) მუშა-მოსამსახურენი (პროფესიონალურ კავშირის წევრნი), აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი სამ მილიონამდე მიიღეს და თ) ის პირნი, რომელთაც უკვე გადაუხდიათ სამოქალაქო გადასახადი სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში და წარმოადგენენ ამის სათანადო საბუთს.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის უფროსი თავისუფლდება სამოქალაქო გადასახადისაგან, თავისუფლდებიან აგრეთვე ოჯახის ის წევრებიც, რომლებსაც არ აქვთ არავითარი თავისი შემოსავალი.

§ 5.

სახლის მეპატრონენი, კომენდანტები, მოიჯარადრენი, მოურავები, მობინადრეთა კოლექტივები, რომელთა ზედამხედველობაშიც სახლები იმყოფებიან, ვალდებულნი არიან სასწრაფოთ შეადგინონ ცალ-ცალკე, კატეგორიების მიხედვით, სიები: სიაში № 1 შეტანილ უნდა იქნეს ის მუშა მოსამსახურენი (პროფკავშირის წევრები) და სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი მიიღეს სამ მილიონ-მანეთზე მეტი ვიდრე ხუთ მილიონამდე თან შეტანით; სიაში № 2 მუშამოსამსახურეები (პროფკავშირის წევრები) და სამხედრო მოსამსახურენი, რომელთა დეკემბრის ხელფასი აღემატებოდა ხუთ მილიონს; სიაში № 3 ის პირნი, რომლებიც ვაჭრობა-მრეწველობას აწარმოებენ; სიაში № 4 ყველა დანარჩენი, ვინც ვალდებულია სამოქალაქო გადასიხადი გადაიხადოს, და სიაში № 5 ყველა ის პირნი, რომლებიც თანახმად ამ დადგენილებისა განთავისუფლებულნი არიან გადასახადიდან, აკრიფონ გადამხდელებისაგან ხვედრი ფული და წარუდგინონ სიებით იქ აღნიშნულ პირთა საბუთებითურთ სათანადო სამილიციო უბნის სამისამართო მაგიდის წარმომადგენელს.

შენიშვნა: 1. მუშა-მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ უნდა წარმოდგენილ იქნეს სპეციალური მოწმობები სათანადო პროფკავშირებიდან და დაწესებულებათაგან დეკემბრის შრომის სასყიდლის აღნიშვნით.

შენიშვნა: 2. უმუშევრებს, მილიციონერებს, წითელ-არმიელებს, და იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც დადგენილების ძალით განთავისუფლებულნი არიან გადასახადიდან, სპეციალურ მოწმობებს აძლევს შრომის ბირჟა, სათანადო დაწესებულებანი და პროფკავშირები.

აღმასკ. პრეზიდიუმ. თავმჯდ. **ლ. დუმბაძე.**

აღმასკომის მდივანი **ხუნდაძე.**

2 იანვარი, 1923 წ.

განცხადებანი.

ჩოხატაურის უბნის სახალხო სასამართლო თავისი 6 იანვრის 1923 წ. შემდგარ დადგენილებით იწვევს მცხოვრებს კოხნარის თემისა **ალექსანდრე ვენეკლიტეს ძე** მგალობლიშვილს 27 თებერვალს 1923 წ., როგორც მოპასუხეს ძიებისა გამო რაფიელ შარაშიძისა მასთან სამას მილიონ მანეთზე. უკეთუ მოპასუხე არ გამოცხადდა, დადგინდება განჩინება, რომლის გასაჩივრება შეიძლება მხოლოთ კასაციური წესით.

სახალხო მოსამართლე ერისთავი.

№ 168 1—1.

ბანძის უბნის სახალხო სასამართლო იწვევს 1922 წლის 12 თებერვალსა გარდაცვალებულ სოფ. ნახარებოვოს (სენაკის მაზრა) **ფუთუ ბასია ყუბარაძის ასულის** მემკვიდრეებს, რომ მათ კანონით დაწესებულ დროის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონების მემკვიდრეობაზე.

ბანძის უბნის სახალხო სასამართლოს
თავმჯდომარე
მდივანი **კაკურაძე.**

№ 167 1—1

ახალციხის 1-ლ უბნის სახალხო მოსამართლისაგან თბილისის სასამართლოს ოლქისა ნოემბრის 30 დღესა 1922 წ. № 1485, ახალციხის 1-ლ უბ-

ნის სახალხო მოსამართლე რომლის კომეტა ივყო. ფოთა ქ. ახალაცხეში, წინადადებას აძლევს პეტროგრადს მოქალაქეს **ალექსანდრე კორალიოვს** ორი თვის ვადის განმავლობაში ეანაცხადოს თავისი მასამართი, რომლითაც იგი გამორეიული უნდა იქნეს მის საქმეზე შესახებ განქორწინებისა მეუღლესთან ელისაბედ კორალიოვთან.

სახალხო მოსამართლე **ლეონიაშვილი.**

№ 165 1—1

ზუგდიდის მაზრის ალმასკომი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისი ავტორობა გმნყოფილების გამგე და რწმუნებული **რაფაელი ალექსის ძე გეგეჭკორი** დათხოვნილია ალ-ი მნული მოვალეობიდან 1 სექტემბრიდან ა./წ. ბოროტმოქმედებისა გამო და ძიცემული ძაზი რწმუნებულების მანდატები 21 ივლისიდან 1922 წ. № 1003 და 30 მაოტიდან № 381 სხვა-სხვა დაწ სეკულიბიდან და კერძო პირებისაგან ზუგდიდის მაზრის ალმასკომის სახელზე და ანგარიშზე საქონლების მისაღებად.—გაძებილებულია.

ზუგდიდის მაზრის ალასკომის
თავმჯდომარე **გ. როგავა**

შ..ნაგან მმართველობის მდივანი **გ. ხვიტია.**

№ 169 1—1

ტფილისის საქალაქო ალქის ახალციხის 1-ლ უბნის სახალხო მოსამართლე აცხადებს-რომ განიხილებულ ახალციხის მოქალაქის **სვი, მონ ალექსანდრეს ძის ხუციანიანცის** ანერძი. შესრულებული ტფილისის ნოტარიუს ლუკა სკისთან, ახალც. სახ. სასამართლოს 1922 წ. 21 ივნისის დადგენილებით დამტკიცებულია ალსრულებლად.

№ 164 1—1

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო ამით აცხადებს, რომ მოქ. **ვლადიმერ ბანგიას** და არგვანა სხვა და-სხვა საბუთები 1) მანდატი გაკეთული ფოთის ეკონომიდან 19 სექტემბერს № 2564, 2) მოწმობა გაცემული იმავე განყოფილებიდან 11 დეკემბრიდან № 2986, 3) მოწმობა გაცემული ფოთის ჰოლოტ-ბიუროსაგან 19 დეკემბრიდან № 2034, 4) პირადობა და 5) სამხედრო სამახურის ნუსხა. ხსენებული საბუთები ჩათვლილ იქნას გაუქმებულად.

მილიციის უფროსის მოად. **ვ. ნაჭყებია.**

კანცელარიის მმართველი **ა. შელია.**

№ 166 1—1

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო ეცხადება, რომ მ ქ **ნესტორ ალექსის ძე კაზანჯ ს** დაკარგვია თავისი ბ ლადობის მოწმობა მ ლებული ამავე სამმართველოდან 2 ნოემბრიდან № 504, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

ფოთის მილიციის უფროსი **ვ. ჭანტურია.**

კანცელარიის მმართველი **ა. შელია.**

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წლ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის ალმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტებ ს ჩამწერი მაგიდა აცხადებს რომ მოქ. **მ.რი მ ავგუსტის ასულმა მ ეტინენმა** შემოტანა განცხადება მ ი გვარის მეჯინენის არგუტინსკი დოლგორუკოვზე შეცვლის შესახებ.

საქმის მწარმოებელი **ფან ა შვილი**

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო ამით აცხადებს, რომ მოქ. **ხოკრატი ბახუს ძე ჩაჩიბაიას** დაკარგვია სამხედრო ს მსახურის ნუსხა მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

ფოთის მილიციის უფროსის მოად.: **ნაჭყებია.**

კანცელარიის მმართველი **ა. შელია.**

სენაკის მაზრის ალმასკომი თავის მოსართვით ა. წ. დეკემბრის დარიღით და 3216 №ით გვაცნობებს, რომ დაკარგულია გეზათ გულუხეთის თემის ალმასკომის ბეჭედი წარწერით: გეზათ გულუხეთის თემის ალმასრულ. კომიტეტი სენაკ. მ ზ. შუაში საქართველოს ლერბით. დაკარგულ ბეჭდის ნაცვლად მიეცათ მოწმობა ძველი ბეჭდის შეცვლათ ამავე წარწერით, მხოლოდ შეკვლილ იქნა შრიფტი და თანახმად კომისრის მოადგილეს ამხ. ტალახაძ ს რეზოლიუციისა უნდა გამოცხადდეს ეურნალ „მოამბე“ში დაკარგულ ბეჭდის გაუქმების შესახებ.

საერთო განყოფ. გამგე **ა. ნიკოლაევი.**

საქმის მწარმოებელი **ი. ამირაღოვი**

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული შ. ს. ს. კომისარიატიდან 9 წ. მაისში **გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდარა ვალის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 162 1—1

დაიკარგა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან 1920 წ. მაისში **იკატერინე ივანეს ასულ გიაიტაშვილის** სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად № 163 1—1

დაიკარგა მატრიკული ამონაწერი, № 4064 **გურ. ბაბათაშვილის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 161 1—1

დაიკარგა ჰასპორტი მიღებული 1922 წ. სექტემბერში შ. ს. ს. კომისარიატიდან **ხულელმან მუსაევის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 159 1—1

დაიკარგა მანდატი მიღებული შ. ს. ს. კომისარიატის კანცელარიიდან ლეჩხუმის საოზრო აღმასკომის თავჯდომარის **ხ. ქაჯაიას** სახელზე 1922 წ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(უ. 1—1)

დაიკარგა მატრიკის ამონაწერი მიღებული ანჩისხატის ეკლესიიდან 1920 წ. № 705, **ირაკლი ევგენის ძე ჩლაიძის** სახელზე. გაუქმებულია. № 146 1—1.

დაიკარგა მეტრიკა მიღებული სინოდალური კონტორიდან 1901 წ. № 656, **არჩილ ზაქარიას ძე დავიდოვის** სახელზე გაუქმებულია. № 147 1—1

დაიკარგა მატრიკული ამონაწერი მიღებული სუოფნიშანის ეკლესიიდან 1918 წ. **ნიკოლოზ სერგოს ძე ეგნაულოვის** სახელზე. გაუქმებულია. № 148 1—1.

დაიკარგა საბინაო დავთარი მიღებული ტფილისის ქალაქის სამისამართო მაგიდიდან 1922 წ. ივლისში № 4094 **ფილიპე გაბრიელიას ძე დანგაძის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა მატრიკული იმონაწერი მიღებული 1910 წ., № 533 **გრიგოლ ივანეს ძე ბრეგვაძის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

მე-III რაიონის აქციზის ინსპექტორი ნიკიტინი აცხადებს, რომ **ნ სყიდა სიაკოვზა** დაკარგა ლიონის გადასატანი მოწმობა №№ 5804 5805 და 5086 რომლებიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 149 1—1

ვანის უბნის სახალხო მოსამართლე, რომლის კამერა იმყოფება ს. ვანში, ამავე თემისა, იწვევს **ამინდარ მაღლაკელიძეს ა. რამიძის** ასულის გადაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კანონიერ მემკვიდრეებს, რათა უკანასკნელებმა ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა განაცხადონ თავისი უფლებები ამ მემკვიდრეობაზე.

ვანის უბნის სახალხო
მოსამართლე **ნიკოლოზ ლორთქიფანიძე.**

მდივანი ივ. **ლორთქიფანიძე.**

№ 156 1—1

ვანის უბნის სახალხო მოსამართლე, რომლის კამერა იმყოფება ს. ვანში, იმავე თემისა. ქუთაისის მაზრისა, იწვევს მოქალაქე **ივლიანე ბახილის ძე ცხადაშვილის** გადაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კანონიერ მემკვიდრეებს, რათა კანასკნელებმა ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა განაცხადონ თავისი უფლებები ამ მემკვიდრეობაზე.

ვანის უბნის სახალხო
მოსამართლე **ნიკ. ლორთქიფანიძე.**

მდივანი ივ. **ლორთქიფანიძე.**

№ 156 1—1

ვანის უბნის სახალხო მოსამართლე, რომლის კამერა იმყოფება ს. ვანში, იმავე თემისა, ქუთაისის მაზრისა, იწვევს მოქალაქე **ესტეფანე მიხილის ძე მხეცაძის** გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კანონიერ მემკვიდრეებს, რათა უკანასკნელებმა ორი თვის განმავლობაში დღიდ ნ ამ განცხადების გამოქვეყნებ სა განაცხადონ თავისი უფლებები ამ მემკვიდრეობაზე.

ვანის უბნის სახალხო
მოსამართლე **ნიკ. ლორთქ ფ ნიძე.**

მდივანი ივ. **ლორთქიფ ნ ძე.**

№ 156 1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მე-47-ე №-ში მოთავსებული მასალებისა:

1) **დადგენილება № 26** ს. ს. ს. ცენტრ. აღმ. კომიტეტისა — ამიერ.-კავკ. რკინის გზათა წინააღმდეგ სარჩელთა აღძვრის წესის შესახებ.

2) **დადგენილება № 27** ს.ს.ს. ც. ა. კ-ისა მიწის კანონთა დარღვევის გამო სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ.

3) **დადგენილება 28** ს. ს. ს. ც. ა. კ-ისა შიმშილობისა და სხვა სტიქ. უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის დაარსების შესახებ

4) **დეკრეტი № 15** ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი — სასკოლო დადასახადის შესახებ.

5) **დეკრეტი № 16** ს. ს. ს. რ. ს. კ. ს. საქ. საადგილმამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ.

6) **დადგენილება № 62** ს. ს. ს. რ. ს. კ. ს. 1922 წლისთვის სოფლად შრომისა და ტვირთაზიდვის ხარკის ფულად გადასახადად შეცვლის წესის შესახებ.

7) **დადგენილება № 64** სახ. კომ. საბჭოს დადგენილების № 61 საქართველოს კოოპ. ბანკზე გავრცელების შესახებ.

8) **დადგენილება № 65.** ს. ს. ს. რ. ს. კ. ს. სამოქალაქო გადასახადის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

9) **დადგენილება № 66** ს. ს. ს. რ. ს. კ. ს. მე 9 №-რით გამოცემული დეკრეტის დამატების შესახებ.

10) **დადგენილება № 67** ს. ს. ს. რ. ს. კ. ს, წარმოებაში მოზარდთა საცალდებულო რიცხვის დაწესების შესახებ.

1) **დადგენილება № 68** ს ს. ს. რ. ს. კ. ს. ყველა სამხედრო ტაძრების საქ. კომ. ახალგაზრდობის კავშირის განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

12) **ცირკულიარები — შინ. საქ. სახ. კომისარიატის:** 1) ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის გარეშე დარჩენილ შენობების დაქირავების წესის შესახებ, 2) ხანძრის ცნობის ფურცლების წარმოდგენის შესახებ, 3) ეკლესიის გალავანში აგებული შენობის — ეკლესიის განკარგულებაში დატოვების შესახებ, 4) წყალდიდობის დროს გატაცებულ ხეტყის მასალის — პატრონებისათვის დაბრუნების შესახებ, 5) კომუნალურ განყოფილებათგან 1922 წ. განმავლობაში წარმოებულ საალმშენებლო მუშაობის ანგარიშის წარმოდგენის შესახებ, 6) დაწესებულებებში ყველა საქმეების სახელმწიფო ენაზე წარმოების შესახებ, 7) სიღარიბის მოწმობათა გაცემის შესახებ, 8) ახალგაზრდა კომ. კავშირისთვის კასპის ფლოტის კვირეულის ჩატარების საქმეში დახმარების აღმოჩენის შესახებ, 9) ფოსტა-ტელეგრაფით სარგებლობისათვის საფასურის გადახდის შესახებ.

13) **ბრძანებანი შ. ს. ს. კომისარიატისა:** 1) ძველი მანდატებისა და სამსახურის მოწმობათა გაუქმების შესახებ, 2) ქუჩების დასახელებისა და სახლების №№-ბის გამოცვლის შესახებ, 3) ოზურგეთის სამაზრო მილიციისათვის მადლობის გაგამოცხადების შესახებ.

14) **მოწოდება** ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისა — ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის სამოქალაქო გადასახადის დაწესების შესახებ.

15) **საცალდებულო დადგენილება** ქ. ტფ. აღმ. კომ. სამოქალაქო გადასახადის აკრეფის წესის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ნ. ფ. ს. ც. ტფილისი. ს. მ. უ. ს. ბოლიდრუანყ. მე-8 სტამბა — ტირაჟი 2000